განმარტებითი ბარათი
„პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
კანონპროექტის მიღება განპირობებულია საქართველოს პენიტენციური სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:
კანონპროექტის მიღების მიზანია პენიტენციური სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ევროპული სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება, პენიტენციურ დაწესებულებებში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების რეალიზაცია, მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფა. ასევე, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
კანონპროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებებს:

ა.გ.ა) ტელეფონით სარგებლობა ბიომეტრული მონაცემების მეშვეობით
საქართველოს კანონმდებლობითა და არსებული პრაქტიკით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს განახორციელოს სატელეფონო საუბრები, საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული რეჟიმის, რაოდენობისა და ინტენსივობის ფარგლებში. ბრალდებული/მსჯავრდებული სატელეფონო ზარის განხორციელებას ახდენენ მათ სახელზე არსებული ინდივიდუალური პლასტიკური ბარათისა და მასზე მინიჭებული უნიკალური კოდის მეშვეობით. უნიკალური კოდი და ის ფაქტორი, რომ არ იქნეს ერთი ბრალდებული/მსჯავრდებულის მიერ მეორე ბრალდებულის/მსჯავრდებულის პლასტიკური ბარათის გამოყენება, აუცილებელია იმისთვის, რომ დაცული იყოს კანონის მოთხოვნები. „პატიმრობის კოდექსის“ შესაბამისად, ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობა განსხვავდება მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობისაგან, აგრეთვე, თავის მხრივ მსჯავრდებულების უფლებებიც განსხვავდება ერთმანეთის უფლებებისაგან რისკების შესაბამისად. პენიტენციურ დაწესებულებებში რეჟიმის განხორციელებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია გაკონტროლებულ იქნეს ის, რომ არ მოხდეს ერთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მეორე ბრალდებულის/მსჯავრდებულის ანგარიშის გამოყენება, ეს ემსახურება როგორც ერთი პირის უფლებების დაცვას (იმ პირის, რომლის ანგარიშიც ბარათიც იქნა გამოყენებული ბოროტად), ასევე პენიტენციურ დაწესებულებაში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების დაცვას.

პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ პლასტიკური ბარათების გამოყენება, მიუხედავად მასზე მინიჭებული უნიკალური კოდისა, ვერ უზრუნველყოფს, იმას, რომ ერთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ არ მოხდეს მეორე ბრალდებულის/მსჯავრდებულის პლასტიკური ბარათის გამოყენება, ვინაიდან შესაძლებელია ბარათის მონაცემების დამახსოვრება და შემდგომში მათი გამოყენება.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაშია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე მსჯავრდებულთა

სატელეფონო ანგარიშებიდან ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მსჯავრდებულთა განცხადებები, მათი სატელეფონო ანგარიშებიდან ფულადი თანხების დაუფლების თაობაზე. საქმის მასალებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ 2017 წლის განმავლობაში ხსენებული მსჯავრდებულების საბანკო ანგარიშებზე მიბმული სატელეფონო ანგარიშებიდან პლასტიკურ ბარათზე დატანილი ციფრების კომბინაციის გამოყენებით დაწესებულებაში მოთავსებული სხვა მსჯავრდებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლებას.

გამომდინარე იქედან, რომ თითის ანაბეჭდები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს ბიომეტრულ მონაცემებს[1], ბიომეტრული მონაცემი კი, თავის მხრივ, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს[2] მისი დამუშავებისთვის აუცილებელი გახდა საკანონმდებლო ცვლილება, რათა შექმნილიყო ამ მონაცემების დამუშავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით, „პატიმრობის კოდექსის" მე-19 მუხლში შედის ცვლილება და ემატება 2[1] და 2[2] ნაწილები, რომლის თანახმად „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ სატელეფონო საუბრის განხორციელება შესაძლებელი იქნება ბიომეტრული მონაცემების მეშვეობით", ხოლო მითითებული ბიომეტრული მონაცემების დამუშავების წესი და პირობები, ასევე, სატელეფონო ზარის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.

ა.გ.ბ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაქტილოსკოპირების საკითხი

არსებითი ხასიათის ცვლილებას წარმოადგენს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას, მისი დაქტილოსკოპირების საკითხის დეტალური დარეგულირება.

დღევანდელი პრაქტიკით, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაქტილოსკოპირება ხდება ნეგატივების მეშვეობით, რაც ხშირ შემთხვევაში გარკვეული დროის გასვლის შემდგომ ზიანდებოდა და ფუჭდებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) მხარდაჭერით შეძენილ იქნა ტექნიკა, რომლითაც შესაძლებელი იქნება თითს ანაბეჭდების ელექტრონულად აღება და შემდგომ ერთიან ბაზაში მისი განთავსება, რისთვისაც უკვე გადამზადდა პენიტენციური სისტემის თანამშრომლები. აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით, კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის „პატიმრობის კოდექსის" 35-ე მუხლში, რომლის თანახმად *„შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპირება განხორციელდება ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით".*

დაქტილოსკოპირება მოხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის, როგორც მიღების (პენიტენციურ დაწესებულებაში), ისე გათავისუფლების შემთხვევაში, შესაბამისად, ცვლილების შეტანა საჭირო გახდა შესაბამის მუხლებში:

- 38-ე მუხლი, რომელიც ეხება **მსჯავრდებულის გათავისუფლების** საკითხს;
- 49-ე, რომელიც ეხება **მსჯავრდებულის** პენიტენციურ დაწესებულებაში **მიღების** საკითხს;
- 75-ე მუხლი, რომელიც ეხება **ბრალდებულის** პენიტენციურ დაწესებულებაში **მიღების** საკითხს;

[1] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტი;
[2] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი;

- 79-ე მუხლი, რომელიც ეხება, **ბრალდებულის** გათავისუფლების საკითხს.

ა.გ.გ) ვადის ჩათვლა სასჯელის მოხდის ვადაში

პატიმრობის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების (1 ივნისი 2017 წ. N943-IIს) შედეგად, მსჯავრდებულთა გარკვეულ კატეგორიას მიენიჭათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების განსხვავებული უფლება. კერძოდ, გათავისუფლებისთვის მომზადების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს შეუძლია დაწესებულება დატოვოს ერთ-ერთი შემდეგი პირობით და ვადით:

ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სამუშაო ან/და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში;

გ) დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში, არაუმეტეს 3 დღე-ღამისა.

ასევე, ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებულ ქალ მსჯავრდებულს, რომლის 3 წელს მიღწეულმა შვილმა დატოვა ქალთა სპეციალური დაწესებულება, უფლება აქვს, დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, შვილთან ურთიერთობის მიზნით, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში დატოვოს დაწესებულება.

აღნიშნული ცვლილებების მიღებისას, არ იქნა გათვალისწინებული მითითება, რომ მსჯავრდებულის მიერ დაწესებულების დატოვების პერიოდი მსჯავრდებულს ჩაეთვლება სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

საკანონმდებლო ხარვეზისა და არსებული ბუნდოვანების აღმოფხვრის მიზნით, წარმოდგენილი კანონის პროექტით, ცვლილება შედის პატიმრობის კოდექსის 71^6 მუხლსა და 72-ე მუხლში, რომლის თანახმად მსჯავრდებულთა მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების ვადა ჩაეთვლებათ სასჯელის მოხდის საერთო ვადაში, მსგავსად პატიმრობის კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 და 27-ე მუხლის მე-10 ნაწილებისა, რომლის თანახმად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა და გარეთ ხანმოკლე გასვლის ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის კოდექსის 72-ე მუხლის 3^3 ნაწილი ამოქმედდა 2017 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო 71^6 მუხლის რედაქცია ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მსჯავრდებულთა მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების ვადის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში ჩათვლის საკითხი უნდა გავრცელდეს კანონის ძალაში შესვლის პერიოდის შესაბამისად (2017 წლის 1 სექტემბერი და 2018 წლის 1 იანვარი).

ა.გ.დ) დისციპლინური სახდელის სახეების გაზრდა

პატიმრობის კოდექსში 2017 წლის 1 ივნისამდე განხორციელებულ ცვლილებამდე არსებული რედაქციით, ხანგრძლივი პაემნის უფლება არ მიეცემოდა მსჯავრდებულს, რომელიც იყო საკარანტინო რეჟიმში, დაკისრებული ქონდა **დისციპლინური სახდელი** ან/და შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო ვიდეო პაემნის უფლება ეზღუდებოდა - დისციპლინური სახდელის მოქმედების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების პერიოდში.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მსჯავრდებულს ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა საკარანტინო რეჟიმში ყოფნისას, ასევე, მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს

დისციპლინური პატიმრობა ან მოთავსებულია სამარტოო საკანში. მსგავსად ხანგრძლივი პაემნისა, ვიდეო პაემნის სარგებლობის უფლება მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების პერიოდში.

2017 წლის 1 ივნისამდე არსებული რედაქციით, მსჯავრდებულს ნებისმიერი სახის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან ერთად ავტომატურად ეზღუდებოდა ხანგრძლივი/ვიდეო პაემნით სარგებლობის უფლება და შეეძლო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავიდოდა დისციპლინური სახის გაქარწყლებისათვის დადგენილი შესაბამისი ვადა (6 თვე ან 1 წელი).

ვინაიდან, დღეის მდგომარეობით, მსჯავრდებულს ხანგრძლივი/ვიდეო პაემნის უფლება ეზღუდება მხოლოდ საკარანტინო რეჟიმში ყოფნისას, ასევე, თუ შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან მოთავსებულია სამარტოო საკანში, მიზანშეწონილია დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს დაემატოს ხანგრძლივი პაემნით და ვიდეო პაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

შემოთავაზებული კანონპროექტით, ცვლილება შედის პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლში, კერძოდ, პირველ ნაწილს ემატება შემდეგი შინაარსის „მ[1]“ და „მ[2]“ ქვეპუნქტები: „მ[1]) კუთვნილი ხანგრძლივი პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ;“ და „მ[2]) კუთვნილი ვიდეოპაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ;“.

გამომდინარე იქედან, რომ ჰუმანურობის პრინციპის გათვალისწინებით, არ შეიძლება ბრალდებულს/მსჯავრდებულს ერთდროულად აეკრძალოს ყველა ის უფლება, რომელიც დაკავშირებულია გარემო სამყაროსთან კონტაქტთან, წარმოდგენილი პროექტით მე-5 ნაწილში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც აიკრძალება ერთდროულად ისეთი უფლებების შეზღუდვა, როგორიცაა სატელეფონო საუბარი, პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნა, კუთვნილი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების/ვიდეოპაემნის შეზღუდვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების და ფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები არ მოითხოვს დამატებითი ხარჯების გაწევას, თანაც, ამ ცვლილებებით განპირობებულ და მოსალოდნელ დანაზოგებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები ტექნიკური დახმარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის გარე წყაროები. ასე, მაგალითად, ბიომეტრული მონაცემების დამუშავების შესაძლებლობის მქონე ტელეფონის აპარატების განთავსებასა და მომსახურებას უზრუნველყოფს ის სატელეფონო კომპანია, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში ახორციელებს სატელეფონო მომსახურებას, შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში და დადგენილი წესით;

დაქტილოსკოპირების ელექტრონულად ჩატარებისათვის განკუთვნილ ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ტექნიკა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გადაეცა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საერთაშორისო ნარკოტიკებისა და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) მიერ, მათივე მხარდაჭერით განხორციელდა პენიტენციური სისტემის მოსამსახურეთა გადამზადება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და შეესაბამება მათ.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი
საქართველოს პარლამენტის წევრი პაატა მხეიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს პარლამენტის წევრი პაატა მხეიძე